- წესიერი ეწოდება წილადს, რომლის მრიცხველი<მნიშვნელზე.
- არაწესიერი ეწოდება წილადს, რომლის მრიცხველი > ან = მნიშვნელზე.
- მაგალითად: 5/8 წესიერია;
- ხოლო 7/3 არაწესიერია, ასევე 4/4 არაწესიერია .

✓ თუ წილადებს ერთნაირი მნიშვნელები აქვთ, მაშინ ნაკლებმრიცხველიანი წილადი უფრო ნაკლებია, ხოლო მეტმრიცხველიანი წილადი უფრო მეტია. მაგალითად 3/6 ნაკლებია 5/6.

✓ თუ წილადებს ერთნაირი მრიცხველები აქვთ, მაშინ პირიქით არის, ნაკლებმნიშვნელიანი წილადი უფრო მეტია, ხოლო მეტმნიშვნელიანი წილადი უფრო ნაკლებია.

შემოხაზე სწორი ტოლობა:

ა) $\frac{1}{2} < \frac{3}{6}$

ბ) $1\frac{1}{8} < \frac{7}{8}$

გ) $\frac{4}{8} < \frac{3}{8}$

დ) $\frac{5}{8} < \frac{6}{8}$

3. სურათზე მოცემულია ოთხი სხვადასხვა ფიგურა



რომელი ფიგურის ფართობია ყველაზე მეტი? ქვემოთ დაწერეთ ამ ფიგურის შესაბამისი ასო.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

4. ნახაზზე მოცემულია რიცხვთა სხივი. შემოხაზეთ, რა რიცხვი შეესაბამენა **B** წერტილს.



ა) $2\frac{6}{7}$

ბ) 12

გ) $2\frac{5}{10}$

დ) $2\frac{5}{7}$

5. ქვემოთ მოცემული სურათის მიხედვით გაარკვიე, რიცხვების რომელი წყვილი შეესაბამება ეიფელის კოშკის მდებარეობას.



ა) (2; 2)

ბ) (2; 3)

გ) (3; 2)

დ) (3; 3)

6. დააკვირდით შევსებულ ცხრილს.

a	b
0	0
2	4
3	9

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გვიჩვენებს a-სა და b -ს შორის დამოკიდებულებას?

ა) $a = b$

ბ) $a \cdot 2 = b$

გ) $b = a + 7$

დ) $b = a \cdot a$

LIVEWORKSHEETS

7. რომელ მიმდევრობაშია რიცხვები $\frac{3}{5}$, 1, $\frac{5}{3}$ **კლებადობის** მიხედვით დალაგებული ?

ა) $\frac{5}{3}$, $\frac{3}{5}$, 1

ბ) 1 , $\frac{5}{3}$, $\frac{3}{5}$,

გ) $\frac{3}{5}$, 1, $\frac{5}{3}$,

დ) $\frac{5}{3}$, 1 , $\frac{3}{5}$,

8. რომელ ნახაზზეა გაფერადებული მართკუთხედის $\frac{3}{4}$ ნაწილი?

ა)



ბ)



გ)



დ)



LIVEWORKSHEETS

9.



მოცემულ ბადეში მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ **ზემოთ, მარჯვნივ** ან **მარცხნივ. ბურთის** უჯრიდან **ნაძვის ხის** უჯრაში რომ მოვხვდეთ, ამისათვის საჭიროა:

ა) ჯერ გადავინაცვლოთ ხუთი უჯრით მარჯვნივ , შემდეგ 4 უჯრით ზევით

ბ) ჯერ გადავინაცვლოთ ოთხი უჯრით ზევით, შემდეგ 3 უჯრით მარჯვნივ

გ) ჯერ გადავინაცვლოთ 4 უჯრით მარჯვნივ, შემდეგ 4 უჯრით ზევით

დ) ჯერ გადავინაცვლოთ 3 უჯრით ზევით , შემდეგ 4 უჯრით მარჯვნივ

10. $\frac{1}{8} + \frac{5}{8}$ უდრის

ა) $\frac{8}{6}$

ბ) $\frac{6}{16}$

გ) $\frac{6}{8}$

დ) $\frac{15}{88}$

11. დაალაგეთ **ზრდის** მიხედვით :

$\frac{1}{6}; \frac{3}{4}; \frac{2}{6}.$

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

12. სურათზე მარცხნივ მოცემული ცხრილის მიხედვით აგებულია სვეტოვანი დიაგრამა (მარჯვნივ). დიაგრამის ცარიელ ადგილებში ჩაწერეთ შესაბამისი ნივთები. ყურადღება მიაქციეთ რიცხვებს და მათი მეშვეობით გაარკვიეთ რა და რა ნივთები უნდა ეწეროს დიაგრამის ბოლო სამი სვეტის ქვეშ.

სათამაშო	**რაოდენობა**
ბურთი	**20**
მანქანა	**10**
ლეგო	**15**
წიგნი	**10**
სახატავი ფანქრები	**25**



13. ნახაზზე მოცემული პირველი სამი ფიგურა მიღებულია მეოთხე ფიგურისგან - მართკუთხედისგან ერთი და იმავე ზომების მქონე სამკუთხედების ჩამოჭრით. **პირველი** ფიგურის ფართობი **მეოთხე** ფიგურის ფართობზე 50 კვ. მმ-ით ნაკლებია.



რამდენით მეტი იქნება **მეორე** ფიგურის ფართობი **მესამე** ფიგურის ფართობზე?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში

LIVEWORKSHEETS

14. დიაგრამაზე გამოსახულია სათამაშოების მაღაზიის მიერ გაყიდული ველოსიპედების რაოდენობა თვეების მიხედვით:

პირველ დიაგრამაზე - **ზამთარში** გაყიდულებისა, მეორეზე - **გაზაფხულზე** გაყიდულებისა.

1



2



რამდენი ველოსიპედით მეტი გაიყიდა გაზაფხულზე, ვიდრე ზამთარში?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში: ☐

15. შემოხაზე სწორი წინადადება.

(წესიერი ეწოდება ისეთ წილადს, რომლის მნიშვნელი მრიცხველზე მეტია, არაწესიერი ეწოდება წილადს, რომლიც მრიცხველიც მეტია ან ტოლი მნიშვნელზე).

ა) ორი არაწესიერი წილადის ჯამი ნაკლებია 2-ზე

ბ) ორი წესიერი წილადის ჯამი ყოველთვის წესიერი წილადია

გ) ორი წესიერი წილადის ჯამი ყოველთვის 1-ზე მეტია

დ) წესიერი წილადი ყოველთვის 1-ზე ნაკლებია

LIVEWORKSHEETS

16. ნახაზზე გამოსახული ფიგურები ერთნაირი მართკუთხედებითაა შედგენილი:



შემდეგთაგან რომელია სწორი წინადადება:

ა) ყველაზე პატარა ფართობი ამ ფიგურებიდან მეორე ფიგურას აქვს

ბ) პირველი და მესამე ფიგურების ფართობები ტოლია

გ) ამ ფიგურებიდან უდიდესი ფართობი აქვს მეორე ფიგურას

დ) პირველი ფიგურის ფართობი მეორე ფიგურის ფართობზე მეტია

17. **სამი მილიარდ ხუთას ორმოცდაცამეტი ათას შვიდი** ჩაიწერება ასე:

ა) 35530007

ბ) 30000553007

გ) 3000553007

დ) 305053007

18. დააკვირდი სურათს და უპასუხე შემდეგ შეკითხვას:



5 დინოზავრი უფრო მძიმე იქნება თუ 27 სპილო?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

19. ნიკომ უნდა შეღებოს სასტუმრო ოთახის, დერეფნისა და საძინებლის იატაკები, აგრეთვე - ღობე. თითოეული კვ. მეტრის შეღებვას ნიკო 15 წუთს ანდომებს. (ნახაზზე თითოეული პატარა კვადრატი 1 კვ. მეტრს შეესაბამება).



რის შეღებვას მოანდომებს ნიკო ყველაზე მეტ დროს?

ა) სასტუმრო ოთახის

ბ) საძინებლის

გ) დერეფნის

დ) ღობის

20. ეზოში ბავშვების $\frac{3}{4}$ ნაწილი გოგონებია ნ, ხოლო ბიჭები 8-ნი არიან. სულ რამდენი ბავშვია ეზოში?

ა) 6

ბ) $8\frac{3}{4}$

გ) 14

დ) 32

21. ნინოს x ლარი აქვს, ნათიას - მასზე 4-ჯერ მეტი თანხა აქვს, დათოს კი 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე ნათიას. შეადგინე ასოითი გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი ლარი აქვს სამივეს ერთად.

ამოხსნა ჩაწერე აქ:

პასუხი:_____

LIVEWORKSHEETS

22. რომელ ნახაზზეა გამოსახული წრეწირის ქორდა?



23. დღე-ღამეში 24 საათია. დღე-ღამის რა ნაწილია 6 საათი?

ა) $\frac{1}{24}$

ბ) $\frac{6}{24}$

გ) $\frac{24}{6}$

დ) 18

24. გამოიანგარიშეთ: $2 \cdot \left(\frac{2}{8} + \frac{3}{8}\right)$ და შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ა) $\frac{10}{8}$

ბ) $\frac{8}{8}$

გ) $\frac{7}{8}$

დ) $\frac{5}{8}$

25. C წერტილი მოცემული წრეწირის ცენტრია . რომელი წინადადებაა სწორი?

ა) MK დიამეტრია

ბ) CK ქორდაა

გ) DK რადიუსია

დ) MA დიამეტრია



LIVEWORKSHEETS